ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური საქმეები

№ 1.

კვირა, იანვარი 3, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: საახალწლო ფიქრები—ხელისა; ჩვენ საქმეს ჩვენვე ვაფუჭებთ, სხვებს ნუ ვაბრალებთ—რამპოლლასი; დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ეგზარხოს ნიკონის შესახებ—ლ. ჩიხელისა; საახალწლო მილოცვები—ხოხობისა; შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესი?—ნაცარყანელისა; რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ—ო. მწირისა; გამოუარე (ლექსი)—რ. საჯავახოელისა;

წელიწადი მესამე.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს

საეკკლესიო და საზოგადოებრივ ყოველკვირეულ გაზ. „შინაურ საქმეებზე“

საბლაღოჩინო ოლქს ორი ცალი გაზეთი უფასოდ დაეთმობა ღარიბ ეკკლესიებისთვის, თუ ათ ცალს გამოიწერს და ხვედრ ფასს ნახევარს მაინც წინდაწინ წარმოადგენს. სოფლის მასწავლებლებს და მოწაფეებს გაზეთი 3 მანეთად დაეთმობა. გაზეთი არავის გაეგზავნება, თუ ნახევარი წლის გადასახადი დაზღვევისათანავე არ შემოიტანა.

გაზეთის წლიური ფასი ყველგან 4 მანეთი.

ყოველკვირეულ გაზეთ „შინაურ საქმეებზე“ ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

F 4089

საახალწლო ფიქრები.

გაზეთები წყევლა-კრულვით ისტუმრებენ წასულ წელს, იმ წელს, რომელსაც თავის დროზე დიდი სიხარულით მიეგებენ, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. დღეს ამ ახალ წელს შეხარიან, დღეს ამაზე ამყარებენ ადამიანის გაბედნიერების იმედებს და, ვინ იცის, რომ ამასაც [illegible]კ წყევლა-კრულვით არ გაისტუმრებენ. თუ წარსულით მომავალი გაისინჯება, ასეც უნდა მოხდეს უთუოდ. განა რომელი წელიწადი გაგვისტუმრებია ლოცვა-კურთხევით? რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის დაბრუნება გვისურვებია? მიდის წელიწადი წელიწადზე, საუკუნე საუკუნეზე; დღე ღამდება და ღამე თენდება, მზე ამოდის და ჩადის; მსწავლულები იკვლევენ და იძიებენ ქვეყნიერების შენობას, ჰქმნიან სხვა და სხვა მანქანებს, პოულობენ ცხოვრების გამაადვილებელ საშვალებებს, ერთი სიტყვით ესწრაფვიან ბედნიერებას; მაგრამ, ჰოი, მოკვდავთა ბედისწერავ, ბედნერება გაურბის ადამიანს ისე, როგორც დღე ღამეს. რაც უფრო წინ მივდივართ, რაც უფრო ვვითარდებით, მით უფრო გვიძნელდება ცხოვრება და გაგვირბის ბედნიერება. ძნელი სათქმელია, როდის უფრო ბედნიერი იყო კაცობრიობა, მაშინ როცა ქვის ნაჯახს ხმარობდა, თუ ეხლა, როცა ფოლადის ხმლით არის შეიარაღებული, მაშინ, როცა ნახევრად შიშველი დადიოდა თუ ეხლა როცა ფარჩა—აბრეშუმით იმოსება, მაშინ, როცა მოწნულ ქოხებში და ბნელ მაღაროებში სცხოვრობდა, თუ ეხლა, როცა ელექტრონით განათებულ დარბაზებში განისვენებს, მაშინ, როცა არავითარი გასართობი არ ჰქონდა თუ ეხლა, როცა თეატრები და კლუბები მის ხელათაა, მაშინ, როცა მისი სასმელი მხოლოდ წყალი იყო თუ ეხლა, როცა სასმელთა სახელები ლეგეონია. ძნელი გამოსარკვევია თუნდა ეს საკითხი, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ადამიანი არასოდეს ბედნიერად არ რაცხდა თავის თავს, არასოდეს კმაყოფილი არ ყოფილა თავის სვე-ბედისა, მუდამ წუწუნობდა და უჩიოდა თავის მდგომარეობას, ამიტომ ყოველთვის შფოთავდა და ბორგავდა საუკეთესო მომავლისათვის, ამისთვის ყოველ განვლილ წელს, ყოველ განვლილ დღეს, ყოველ განვლილ წამს წყევლა კრულვით ისტუმრებდა და მომავალს იმედებით შეტრფოდა. ესეა დღესაც, ესე იქნება კვლავაც. თუ განვლილი წელი წყევლა-კრულვით გავისტუმრეთ, მდგომარეესაც ეს ბედი მოელის, არც მას ელის ლოცვა-კურთხევა ჩვენგან, მიტომ რომ ვერც იგი მოგვიტანს სრულ ბედნიერებას, ვერც იგი დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და მისწრაფებას ბედნიერებისადმი. ბედნიერება?!.. რამდენი ხანია ეს სიტყვა გაისმის ქვეყნიერობაზე, მაგრამ მისი მნიშვნელობა დღემდის არავინ არ იცის. აბა სინჯეთ და კითხეთ ვისმე, რაში ხედავს იგი ბედნიერებას? მე დარწმუნებული ვარ ამ საკითხზე ან სულ ვერ მიიღებთ პასუხს და ან იმდენ სხვა და სხვა პასუხს მიიღებთ, რამდენ სხვა დასხვა პირს შეეკითხებით. ეს იმის ნიშანია რომ ბედნიერება არც ერთმა მისწრაფებაში არ მდგომარეობს, რომელშიდაც ჭორნებდნენ. თუ ასე არ იყოს, მაშინ ხომ ბოლო მოეღება ჩვენ უთავბოლო ხეტიალს და ბედნერების ძიებას. შიშველს პერანგი ბედნიერებად მიაჩნია და როცა ამ ბედნიერებას მიაღწევს, თავს მაინც უბედურად გრძნობს. კმაყოფილება არ არის ქვეყანაზე და ამიტომ არ არის ბედინერება. მიზანთა ერთგვარობა არ სუფევს კაცთა შორის და ამიტომ ბედნიერს ვერსად შეხვდებით. ერთი სიტყვა ერთ განსაზღვრულ ცნებას უნდა ხატავდეს ეგრეთვე სიტყვა „ბედნიერება“ ერთ განსაზღვრულ ცნებას უნდა ნიშნავდეს. მაშასადამე თუ არის ქვეყნიერებაზე ის, რასაც ბედნიდრებას ვეძახით და რის გულისთვისაც წყევლა-კრულვით ვისტუმრებთ ყოველ განვლილ წელს, უნდა ყველასათვის ერთი იყოს, ყველას უნდა აკმაყოფილებდეს. არის თუ არა ასეთი ბედნიერება?

აქ უნებლიეთ მაგონდება მაცხოვრის უკვდავი სიტყვები მართას მიმართ, რომელიც ზრუნავდა, რომ კარგათ გამასპინძლებოდა მოძღვარს „მართა, მართა, ზრუნავ და შფოთავ მრავლისათვის, აქა მხოლოდ ერთისა არს სახმარი“! დიახ ადამიანი ზრუნავს და შფოთავს მრავლისათვის, და ამ მრავალთა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის არც ერთი სახმარი არ არი, არც ერთი დამაკმაყოფილებელი არ არის, არც ერთი ბედნიერებას არ შეიცავს. იმათ აქვთ თავისი ფასი მხოლოდ მაშინ თუ ადამიანს გათვალისწინებული აქვს უმთავრესი ბედნიერება და ამ ბედნიერების თვალსაზრისით ზრუნავს მრავალისათვის. მაშინ თვით ამ ზრუნვაში ნახავს იგი ქვეყნიერად კმაყოფილებას.

დიახ შიში უფლისა და მცნებათა მისთა აღსრულება, როგორც სთქვა ეკკლესიასტემ, აი ნამდვილი საამქვეყნო და საიმქვეყნო ბედნიერება. მხოლოდ მაშინ დადგება საყოველთაო ბედნიერება, მაშინ გამოირკვევა ამ სიტყვის მნიშვნელობა, როცა ადამიანები დიდიდგან პატარამდი გაიმსჭვალებიან ამ აზრით. მანამ კი ბედიიერება ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი.

რომ შიში უფლისა და მცნებათა მისთა აღსრულება ბედნიერებას შეიცავს, ამაში გვარწმუნებენ აუარაკხველი წმინდა მამანი, მოწამენი და აღმსარებელნი, ესენი თვით უკიდურეს მდგომარეობაში ბედნიერად გრძნობდნენ თავს. წართმევით მე შენ ვერაფერს წამართმევ,—„უთხრა დიდმა ვასილმა მეფე ვალენტის გამოგზავნილ კაცს,—რადგან არაფერი მაქვს, ექსორიაობის არ მეშინია, რადგან უფლისა არს ყოველი ქვეყანა, სიკვდილი ჩემთვის სასურველია, რადგან იგი შემაერთებს მე ქრისტეს, რომლისათვისაც ვცხოვრობ და ვიღვწი ამ ქვეყნად“.

იოანე ოქროპირმა თავისი მრავალტანჯული სიცოცხლე დაამთავრა ამ სიტყვებით „დიდება ღმერთსა ყოვლისათვის“. ასეთივე სრულ ბედნიერებაში დალია სული ყველამ, ვინც შეიგნო, რომ აქა „ერთ არს სახმარ“ და სხვა ყოველი, თვით ტანჯვა-წამებაც კი, საშვალებაა ამ ერთი რამ „სახმარისა“. როცა ყველა მეფიდგან დაწყებული უკანასკნელ მეჯინიბემდე, ამ აზრით გაიმსჭვალება, როცა ღვთის შიში და მისი მცნებებს აღსრულება შეიქმნება დევიზად ცხოვრებისა, მაშინ დამყარდება ქვეყნად ბედნიერება, მაშინმოეღება ბოლოადამიანის ტანჯვა-წამებას, მაშინ ექნება გემო მის ქვეყნიერად სიცოცხლეს, მაშინ, მხოლოდ მაშინ გამოვა ადამიანი ადამიანის მონობისაგან, და აღარ იქნება გარჩევა ადამიანთა შორის. მანამ კი წყევლა-კრულვა არ მოეშლება ყოველ განვლილ ჟამს, რომელიც სიტყვაზე ვთქვათ, არაფერში დანაშაული არ არის.

* * *

ვისტუმრებთ ძველ წელიწადს გულნატკენნი, რომ ჩვენი ინტელიგენცია ერთი დიდი ნაბიჯით კიდევ დასცილდა სწორე გზას, რომ მან სრულებით შესწყვიტა კავშირი ეკკლესიასთან და სარწმუნოებასთან და არა თუ თვითონ შესწყვიტა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სიტყვით თუ უფრო მაგალითით ცდილობდა თან გაეყოლებინა ხალხიც.

* * *

გული გვტკივა, რომ ქართველ სამღვდელოების გამოფხიზლებას ფუჭათ ჩაუარა კიდევ ერთმა წელიწადმა. კიდევ სძინავს, კიდევ ბურანშია და ვერ აუწონდაუწონია თავის მდგომარეობა, რომელიც მოჰყვება მის უმოქმედობას, მის მოვალეობის გვერდის ახვევას. გამოაფხიზლებს თუ არა მას ეს 1910 წელი? ეშვი გვაქვს. სამღვდელოების ძილი ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმა არის; საჭიროა ძლიერი სულიერი და ხორციელი შენძრევა, რომ შეიშმუშნოს და გამოერკვეს ამ შენძრევის საშუალებად თვით ხალხი გადიქცევა. ხალხი, რომელიც მოითხოვს მოქმედ, ცოცხალ, სარწმუნოებით და მაღალ ზნეობით აღჭურვილ მოძღვრებს. რა თქმა უნდა აჯობებს, რომ სამღვდელოება თვით განახლების გზას დაადგებოდეს და არ უყურებდეს იმ მომენტს, როცა ქვეიდგან დაიწყება განახლების მოთხოვნა. მაგრამ ეს მხოლოდ საახალწლო სურვილია და სამ-

ღვდელოებას სამაგისო არა ეტყობა რა, თუმცა იმედსაც არ ვკარგავთ.

* * *

რა მოელის ჩვენ მოსწავლე ახალგაზდობას ცნობილია,,კვიცი გვარზე ხტის''. თუ მასწავლებლები ქარავანს დასცილდნენ, ესენი რაღას მიეწევიან, თუ იმათ დაივიწყეს თავაზიანობა, სინიდისი და სარწმუნოება, ამათ რა ვუძრახოთ, ესენი ვის მაგალითით გავამხნეოთ, ვიზე მიუთითოთ? გუშინ მასწავლებელი მოსწავლეს ელაქუცებოდა, დღეს თვალებსაც უტრიალებს, კიდეც უწყრება, მაგრამ ვერას ხდება. ვერც გახდება რასმე, სანამ თავის თვალიდგან დვირეს არ ამოიღებს და თავს არ განიკურნავს. მაგრამ როდის იქნება ეს? რამდენი ძველი წლის წყევლა-კრულვით გასტუმრება დაგვჭირდება, სანამ იგინი ქარავანს დაეწეოდნენ?! და ჩვენი ახალთაობა, ჩვენი მომავალი იმედი და ნუგეში, ჩვენი აღდგომა და განახლება ფუჭდება და ირყვნება ცუდი მაგალითით. ვიდრემდის უფალო, ვიდრემდის!.....

ხელი.

ჩვენ საქმეს ჩვენვე ვაფუჭებთ, სხვებს ნუ ვაბრალებთ.

მართალსა სწერს ბატონი „სეფეველი“ „შინ საქ.“-ს №; სწორედ მოსპობის გზაზეა შემდგარი ჩვენი ეკლესია, და ამაში ჩვენი სამღვდელოებაა დანაშაული. აბა რა გაკეთდება იქ, სადაც არც ერთი მართლა და ჭეშმარიტი მოღვაწე არ მოიძებნება, სადაც არ მოიპოვება მწყემსი კეთილი. მოძღვარი მოსიყვარულე თვის ერისა, იმისთვის თავდადებული, მის კეთილდღეობასა და წარმატებაზე მუდამ მზრუნველი, გამჭრიახი, შორსმხედველი, დაკვირვებული, წრფელი, მაღალზნეობიანი. ახლა ვინ უდგია ჩვენს ეკლესიას სათავეში? აი აგერ მოძღვარი; უყვარს მას თვისი სამშობლო, სწუხს, იტანჯება, რო ხედავს მის დაჩაგვრასა და დაქვეითებას, სურს იგი წინ წამოაყენოს, სცდილობს, მამაცობს კიდეც, მაგრამ, საუბედუროთ, აკლია შორსმჭვრეტელობა, მიზნის შესაფერ საშვალებათა არჩევის ნიჭი, ღრმა ჩაკვირვება, აწონდაწონვა საქმისა; მისი მსოფლმხედველობა და აქედან მოღვაწეობაც არის ცალმხრივი. აი ეგერ მოძღვარი; არის მამულის დიდი მოყვარული, იმის წარსულ დიდების მოგონებაზე ცრემლებსა ღვრის, ნატრულობს იმას აღდგენა — აღყვავებასა; კალამი უჭრის და სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე სწერს; გაბედულიც არის; მაგრამ სამწუხაროდ, არ აქვს მას სუფთა გული, უზომო თავმოყვარეა, თვისგანდიდებით შეპყრობილია, პირველობის მსურველია; თავის სწორებთან ვერ თვისდება, უყვარს კინკლაობა, შფოთვა-დავიდარაბის ატეხა. აი ეს მწყემსი; აქვს მას ნიჭი და ცოდნაცა: არის საკმაოდ გამჭრიახი, დაკვირვებული; საზოგადო საქმეებიც აინტერესებს; მაგრამ არის მომეტებული, მორიდებული; თამამად ხმის ამოღება, შებრძოლება არ შეუძლია; თანაც არის ცოტად ჭრელი. აი ის მწყემსი; შემკობილია იგი ნიჭითა და მჭევრმეტყველობით; კალამიც მას ემორჩილება; უყვარს საზოგადო კითხვებზე სჯა ბაასი და კამათი; მარა რად გინდა, არ არის იგი მოქმედებაში მუდმივი-მტკიცე, საქმის ბოლომდე მიმყვანი; გაცხარდება, ახმაურდება, ახმაურდება და შემდეგ მალე ნელდება და ჩუმდება; ხან მეტის მეტად ვაჟკაცობს და წინ იწევა, ხან შიშობს და უკან იხევა, იმალება, არ შეუძლია სხვებს შეუამხანაგდეს; სურს, რომ ყველა მას უსმენდეს და ყოველისფერი მის გემოზე კეთდებოდეს. აი აქ მამა სახიერი; მოაქვს მას თავი დიდ მცოდნე, შორს გამჭვრეტ და დინჯ კაცად; მისი ფიქრია „მე“ და ოჯახი; მართალია, არ ჩაიდენს არასფერს ისეთს, რომ უწოდონ მოღალატე. მარა ამასთან არ იზმს არაფერს იმისთანას, რაც სხვებს არ ესიამოვნება, რაც მას მათ წყალობას ააშორებს. აი იქ მამა სახიერი; ჭკუიანია; აქვს განათლება—გამოცდილება; უყვარს საქართველო; ლაპარაკობს: „ასე უნდა, ისე უნდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მოწინავე პირები ასე და ასე უნდა მოიქცენ"...; თვითონ კი ღიად—თამამად არ მოქმედობს, იმალება. აი აგერ მოძღვარი; მართალია, ცოტა რასმე აკეთებს, მაგრამ თვის ნამოქმედარს უზომოდ აზვიადებს და ყოველ-გან გაიძახის: მე ვქენი, მე დავიწყე, მე ვურ-ჩიე, მე ვაქნევინე, და სულ „მე მე"; გამოდის, რო ყველაფერს ის აკეთებს, სხვები კი არა-ფერსა, და ამით მოძღვართა წრეში იწვევს დიდ უკმაყოფილებას; ამასთანავე ცოტათი კოჭლობს ორივე მუხლზე, იქეთაცაა, აქეთა-ცაა, არ აკლია სხვებისგან პატივი. აი ეგერ მოძღვარი, შნოიანი, ტკბილ მოუბარი; მამუ-ლისშვილობს, საზოგადო საქმეებში ერევა, მოთავეობს კიდეც; გარნა ამას შვრება მხო-ლოდ სახელისთვის, რათა უწოდონ საზოგადო მოღვაწე; ჭგონია, რომ სამშობლოსთვის კარგს აკეთებს, მაგრამ უფრო ვნება მოაქვს. აი აქ... მაგრამ კმარა, გულს ნუ ვიმღვრევთ ჩვენ მა-მათა დასურათხატებით.

ასე ჩვენს ეკკლესიას არა ჰყავს ბრძენი, წრფელი, გულ სპეტაკი, გაბედული, უანგარო მუშაკი, და აბა რა დაემართება მას, თუ არ დაცმა და განადგურება!

გასაოცარია, რატომ ვერ ხვდებიან ჩვენი მამები, თუ რაა საქირო ჩვენი ქვეყნისთვის, რაა სასარგებლო და რაა საზარალო? რატომ ვერ თანხმდებიან საზოგადო საქმეებში, ვერ იჩენენ სოლიდარობას, და შეერთებული ძალით არ ითხოვენ ამა თუ იმ საჭიროებათა დაკმაყოფილებას? ერთობლივ რო მოქმედებ-დენ, განა ცოტა რასმე გააკეთებდენ? მარა ერთი მარxვნივ მიდის, მეორე მარცხნივ; ერ-თი წინ და მეორე უკან, და აბა რა გარიგდე-ბა? აი მაგალითი: თფილისში არის მონასტერი. იგი დაარსებულია მეცხრამეტე საუკუნეში სასულიერო სემინარიის რეკტორებისთვის (რო-ცა სემინარია იქ იყო). მის გარშემო მცხოვ-რებელთა უმრავლესობა სომხობაა. ამ მონა-სტერს არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, არც ისტორიული, არც სარწმუნოებრივ-ზნე-ობრივი; არ არის იგი მაუწყებელი ქართველთ წარსულ დიდებულ ცხოვრებისა; არც აქვს მას მცხოვრებლებზე ზნეობრივი გავლენა და არამც თუ კეთილად არ მოქმედებენ მცხოვრებლებზე ძმანი ამა მონასტრისანი, არა-მედ პირიქით აცთუნებენ მათ თვისის არა მონასტრულ ცხოვრებითა. ვისაც ცოტა ხანს მაინც ამ მონასტერში უცხოვრია, იმან კარ-გად იცის, რო აქ სამონასტრო ადგილი არაა. და მართლაც, განა შეიძლება, რომ დიდ ქალაქში, ისიც შუაგულ ალაგას, ბერებმა თვისი დანიშნულობა ნათლად შეასრულონ, რომ სიამენი ამა ქვეყნისანი მათ არ იზიდავ-დენ და არ იმორჩილებდენ? აკი იმიტომაც ძველად ჩვენში მონაზონნი განშორებით ცხოვრობდენ!.. აი ამ მონასტერის სამღვდე-ლო შკოლად გადაკეთება განიზრახა ერთმა პირმა; აღძრა საქმე სადაც xერ იყო. ყველამ იცის, თუ რამდენად საჭიროებს ჩვენი ეკლე-კლესია ამ შკოლაში. სემინარიელები მღვდლად არ მიდიან, და მთავრობა მღვდლებად ნება-უნებურად უვიც კაცებს ამწესებს. აუცილებ-ელად საჭიროა, რომ სამღვდელო კანდიდა-ტებმა ცოტათი მაინც სისტემატიური საღვთის-მეტყველო სწავლა მიიღონ. ყველა შეგნებუ-ლი ქართველი უნდა ცდილობდეს, ამისთანა სასწავლებელი დაარსდეს. უმაღლესი მთავრო-ბა ამისთანა შკოლას ხელმოკლეობისგამო ვერ დაგვიარსებს, მაშასადამე ჩვენ ადგილო-ბრივ უნდა მოვახერხოთ რამე. და აი სწო-რეთ სახელდახელო იქნება ამ საქმისთვის თფილისის მონასტერი. გარნა ისევ ქართვე-ლებმა უარჰყვეს მონასტრის გაუქმება და მის მაგიერ სამღვდელო შკოლის დაარსება. ისინი დიდებულად გაიძახოდნენ, ჩვენ არასგზით არ ვიზამთ, რომ მონასტერი დაიხუროსო. და როცა ისინი ამ სიტყვებს ამბობდენ, დარწმუ-ნებულნი იყვნენ, რომ სამშობლოს დიდ სამსახურს უწევდნენ. საქმეს არ უკვირდებიან, და იმიტომ მოსდით ასე. აბა ერთი სიქვი, რა სxობია, ისა, რომ ოთხმა კაცმა მოლოდ თავი ირჩინოს მონასტრის ფულით, თუ ისა, რომ სამღვდელო ადგილები ცოტათი მაინც მომზადებულ კანდიდატებმა დაიპირონ?... და ყველა საზოგადო საქმეებში ასეთნი არი-ან ქართველნი სასულიერო პირნი; საქმეს არ უკვირდებიან, არ იძიებენ, თუ რაა საჭირო

ეკლესიისთვის; არ იკვლევენ, თუ რა საშვალებებით შეიძლება ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობა. მძიმე საქმეებში მოთავეობა არვის უნდა. ყველა ერთი მეორეს შეჰყურებს, ერთი მეორეზე უთითებს; ყველა გაიძახის: იმან დაიწყოს, იმან ჰქმნასო. განსაკუთრებით კი სამსახურის კიბის უმაღლეს საფეხურზე მდგომთაგან მოითხოვენ ბევრ რასმე, თავგამოდებას, თავის შეწირვას. მხოლოდ თვით კი უკან გაყოლა, ასპარეზზე ღიად გამოსვლა არ უნდათ, და განა შეიძლება, რომ სარდალმა გიმარჯვოს, თუ მას მეომარნი თან არ მისდევენ? სარდალსა და მეომართა შორის მჭიდრო ურთიერთობა უნდა იყოს: მეომარნი სარდალს უნდა აგულადებდენ, ხოლო სარდალი მხედართ უნდა ამხნევებდეს. სარდალიცა და მეომარნიც საომრად ერთად უნდა მიდიოდენ.

არა ახლანდელი ქართველი სამღვდელოება ხალხს ვერ მოძღვრობს. მა'მ, ქართველო ერო, ისევ შენ იზრუნე და იღონე, აღდგეს დაცემული ეკლესია. შეიყვარე მაცხოვარი, შეითვისე მისი სწავლა და ძველებურად, მამაპაპურად ეკლესიას გარს შემოერტყი; გაიგე მისი სატირალი მდგომარეობა, დამნაშავე ჰსაჯე, მცონარი ამხილე, ულირსი განსდევნე, და მაშინ მოძღვარნიც გაფხიზლდებიან, გაფრთხილდებიან, და თვის მოვალეობას აღასრულებენ, და მაშინ შენც ხსნასა ჰპოებ!.....

რამპოლლა.

დეკანოზ იოანე ფოსტოროგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ეპისკოპოს ნიკონის შესახებ. *)

(თარგმანი).

„რუსეთის არწივმა, აცხადებს მ. ი. ფოსტორგოვი, გადაარჩინა ქართველები (Церк-Вѣд. № 25) ისლამის ზღვაში ჩანთქმისგან, გამოკვება იგინი რუს ხალხის ოფლითა და სისხლითაო, თუმცა ისტორია მოწმობს, რომ არა რუსები, არამედ ქართველები, მთელი 15 საუკუნე იბრძოდენ სარწმუნოებისათვის ქრისტეს მტრებთან, და ბრძოლაში დაღლილები, როდესაც დარჩნენ არა უმეტესი 200,000 შეეფარენ ნებაყოფლობით რუს თვითმპყრობელთა მფარველობას, რომელთაც შეეტანეს საქართველოში რუსული გამგეობა, ხელი მიჰყვეს ბრძოლას კავკასიელ მთიელებთან და დაიმორჩილეს იგინი შემდეგ კი თათრებთან და სპარსელებთან ჩხუბით გადიდეს თავის სამფლობელო, და ყველა ამაში დიდი დახმარება მიუძღვის ქართველებს, რადგან ქართველ სარდლებს (თავად ანდრონიკოვებს, ერისთავებს, ჰავჰავაძეებს და სხ.) მიჰყავდათ 'რუსის ჯარი გამარჯვებისაკენ.

უცხო და გაუგებარ შთაბეჭდილებას ახდენს მორწმუნე ხალხზე მ. ვოსტორგოვისაგან სინოდის ოფიციალურ ორგანოში Церк-Вѣд. ძოთავსებული სიტყვები. თუმცა მისი რედაქტორი პროფესორი მ. ოსტროუმოვი თვისი შეხედულობით საქართველოს ეკკლესიაზე, შორს არ წასულა მ. ვოსტორგოვ-ე, მაინც არ შეიძლება, თუნდაც ეგზარხოსი დამოკიდებულობის გამო, გადააქციოს სინოდის ოფიციალური ორგანო. მ ვოსტორგოვის სიცრუის, ცილის წამებისა და ძალდატანების საქადაგო გაზეთად.

დავ-წყოთ იქიდან, რომ მოკლული ეპისკოპოსი არ იყო მოსკოველი, როგორც დაბადებით ისე სამსახურით. არაფერია ს ქებარი იმაში, რომ ის მატერიალური საკგებლობის გულისათვის, საღვთო კანონების დარღვევით, შორიდგან განაგებდა მოსკოვის ერთ მონასტერს (заиконосп мон.); საქებრად მიაჩნიათ, რომ იგი «გაფრთხილებით ინახავდა რუსეთის ეკკლესიურ და სახელმწიფოებრივ საფუძვლებს, სისხლი დათხია მათთვის და შესწირა სიცოცხლე". მ. ვოსტორგოვი დარწმუნებულია, რომ განსვენებული ეპისკოპოსი დაიღუპა „რუსეთის საეკკლესიო და სახელმწიფებრივ დებულებათათვის"; ამაში ჩვენ ვერ ვხედავთ მოწამეობას. „რუსეთის" ეკკლესიურნი ტ მით უმეტეს სახელმწიფოებრივნი დებულებანი შესაძლებელია წინააღმდეგი იყონ

*) იხ „შინ. საქმ". № 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადვთო კანონებისა. წ. ეკკლესია თხოულობს, რომ მწყემსმთავრებმა და მწყემსებმა დასდვან სული თავის სამწყსოსა, წ. სარწმუნოებისა, ღვთის ეკკლესიისა, თავის მამულისათვის და არა რომელიმე დებულებათათვის", რომელნიც, შესაძლოა, მტერნიც იყვნენ ეკკლესიისა (რასაც უკვე ვხედავთ საფრანგეთში). „უნდათ დააფრთხონ მწყემსმთავარნი და მწყემსნი, უნდათ იგინი გადააცილონ მოვალეობის გზიდან, ვითომდა შემობრუნდა დიდიხნის წასული დევნულების ხანა, უმთავრესად მიმართული ეკკლესიის წარმომადგენელებისადმი", გაიძახის მ ვოსტორგოვი! მაგრამ ვისა სურს ეს?

მახმადიანებთან და წარმართებთან ხომ არ ეწეოდა ბრძოლას განსვენებული? მართლმადიდებელი ქართველები კი, თავგამოდებულნი თავის ეკკლესიისათვის, თხოვდენ რუს ეკსარხოსს მხოლოდ ერთს, რომ მას ევლო პირდაპირ კანონისაგან განსაზღვრული გზით და ამ გზიდან არ გადაეხვია, არ დაერღვია გადმოცემა და აღთქმა ეკკლესიისა, აი რაში მდგომარეობს არქიეპისკოპოსის მოვალეობა. მ. ვასტორგოვმა აურია ერთმანეთში მღვდელმთავრისა და მხედართმთავრის ცნება.

„ისტორია მოწმობს, ამბობს მ. ვოსტორგოვი, რომ ზომა დევნისა ყოველთვის უფრო სუსტი იყო, ვიდრე აღმსარებლობა ქრისტეს ეკკლესიის მოსამსახურეთა მოწამეთა კრებულმა წაგვისწრო ჩვენ ამ გზაზე და თავის მაგალითით გვინათებს მას". მაგრამ რას ადიარებდენ წ. მოწამენი და აღმსარებელნი? ისინი მიდიოდენ ქრისტეს წ. სარწმუნოების საქადაგებლად წარმართებთან, უქადაგებდენ მათ ენაზე, ახსოვდათ რა, რომ სული წმინდა მოეფინა მოციქულებს ცეცხლის ენების სახედ და ასწავლა მათ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკი, და დიდება წ. სამებისა.

თვით მ. ვოსტორგოვი აცხადებს, რომ ეკსარხოსმა ქართული ენა არ იცოდა და არც სურდაო; ის ემსახურებოდა ეკკლესიას კი არა, არამედ იმათ, ვინც გარუსებას ეწეოდა მართლმადიდებელ საქართველოს მხარეში.

ჭეშმარიტი მღვდელმთავრები, რომელნიც მზად არიან დასდონ სული თვისი სამწყოსათვის, არ წავლენ განსაგებლად მათთვის ენით უცხო სამწყსოში, რომლის საცხონებელ გზაზე წაყვანა მათთვის შეუძლებელია, არ გადუხვევენ სადვთო კანონებს, რომლითაც მათ ეკრძალება სხვა დამოუკიდებელ ეკკლესიის საქმეში ჩარევა და ახსოვთ, რომ ამ პირობებში მოწამეობაც რომ შეემთხვესთ, მაინც ვერ გაექცევიან ღვთის სამართალს და სადვთო კანონების დარღვევისა, სახელმწიფო პოლიტიკურ მიზნის სამსახურისა და თავის წინააღმდეგ სამწყსოს აღძვრისათვის, მისცემენ პასუხს უმაღლეს მსაჯულსა და მწყემსთმთავარს.

თუ როგორია ქართველი ხალხი, სჩანს რუსი დეკანოზი ვ. ი მიხაილოვსკისაგან ტვერის არქიეპისკოპოს საბასადმი მიწერილ წერილიდგან (см. автобіографическія записки архіеп. Саввы за 1886 г. стр 87]: „უკეთუ უფალმა ღმერთმა ინებოს გაგზავნა თქვენი კეთილ ქართველ ხალხთან, უპირველესად ყოვლისა, თქვენი ღირსების და ეკკლესიის სარგებლობისათვის, თქვენ უნდა გაწმინდოთ ტფილისის სინოდალური კანტორა ნახევრად ფრანგ პროკურორ ანდრეევსკისაგან, რომელსაც მეუღლეც ფრანგი ჰყავს, თუმცა მას ეხმარება ნენაროკოვი». აი როგორ ინახავდენ მართლმადიდებლობას საქართველოში რუსი ეკსარხოსები!

რუსეთმა რომ „მორწყო კავკასია თავის შვილების სისხლით და წააყარა მას თავისი ოქრო", როგორც მოწმობს მ. ვოსტორგოვი, საქართველოს მით არაფერი შეუძენია. საქართველო სხვაა, კავკასია კი სხვა. კავკასიაში მთიულებთან, ოსმალებთან და სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა 100,000-ზე მეტი რუსი ვაჟკაცი, მაგრამ მთელ საქართველოში რუსები არ დახოცილა არც 10,000, მაშინ როდესაც მთელი საქართველო ეხლაც ცოცხლობს თავის მოწამეთა და აღმსარებელთა, ძვლებზე რომელთა რიცხვი უწყის მხოლოდ ერთმა ღმერთმა.

როგორი ოქროებით ადავსო რუსეთმა საქართველო? იმით ხომ არა, რომელიც კეთილის მყოფელ ქრისტეს მოყვარე ქართველებმა მიართვეს თავის ეკკლესიას, როგორც საეკკლესიო ქონება, რომელიც რუსის მართველობამ სახელმწიფო ქონებად აქცია რუს ექსარხოსის ისიდორეს წარდგენით?

განსვენებულის მომავალ მოადგილეთაგან მ. ვოსტორგოვი თხოულობს, რომ მათ „არაფერი არ დასთმონ, მისდიონ მის კვალს", ე. ი. სხვაფრივ, ჩამოართვან ქართველებს უფლება თავის მწყემსმთავარების ყოლისა, ზოგგან კი მწყემსებისაც (სოხუმი, ბათუმი), და მათ ეკკლესიაში შეასრულონ ღვთის მსახურება მათთვის გაუგებარ ენაზე.

მაგრამ განა ეს ღვთიური საქმეა? ნუ თუ მართლმადიდებელ ხალხზე ასეთი ძალმომრეობისათვის აღთქმულია სასუფეველი ღვთისა? განა იგინი, ვინც სდგანან საეკკლესიო კანონებზე, რომელნიც ურჩევენ რუს ექსარხოსებს ამ კანონების დაურღვევლობას და დაცვას ივერიის ეკკლესიის უფლებათა, რომელნიც უთითებენ ღვთის ბრძანებაზე მოციქულთა და მათ მოადგილე ეპისკოპოსთადმი, რომ ძალმომრეობა არ იხმარონ სამწყსოთა ენაზე, არამედ საცა მივიდნენ უქადაგონ მათ ენაზე, განა ისინი შეიძლება ჩაითვალონ წამქეზებლებად დანაშაულობისადმი?!!

ჩიხელი.

(შემდეგი იქნება)

საახალწლო მილოცვები

დავით ლორთქიფანიძეს.

უკიდურეს მემარცხნისგან
მცირეთ კი განსხვავდებია,
მხოლოდ ძალას რომ ემონვი,
მე ვარ ამის თავდებია;
ქრთამს არ იღებ, მართალია,
არ გაქვს მსგავსი ცოდვებია,
მაგრამ ნეტა აგელო და
რამე გაგეკეთებია!....

იაკობ ფანცხავას.

ბნელში მყოფნი ქუთათურნი
შველად გხმობდენ დამხმარესა,—
არსებული ჯამაგირი
დიახაც არ გაკმარესა;
მოდი და რა? ქუთაისი
დაემსგავსა სამარესა....
„შორიდანა მტერსა მოკლავ
ახლოდანა მოყვარესა".

კოტე ბაქრაძეს.

შენ და იაკოფს ვერ გიქებთ
დარბაისლობა ზრდილობას:
ვინ უფრო გაბატონდებით
უნდებით ამის ცილობას;
თითეულს კარგად გამჩნევენ
მიკერძება—ნათლულობას,
ბნელს, ტალახს, და მტვერს უყურეთ,
აფერუმ თქვენს გულ-გრილობას!..

ქუთ. ხმოსნებს.

ოც სხდომაში ერთს ესწრებით
და მაშინაც იყვინთებით.—
სადაც თავი დიდათ სუსტობს,
რა გაკეთდეს იქ ფეხებით?

გიორგი ზდანოვიჩს,

წასულით თუ არ ამაყობ,
დღეს რის მოღვაწეთ ითვლები?
ჰიათურის ფულის ფლანგვით
მოწამეთ არ ჩაითვლები.

კიტა აბაშიძეს.

გაზეთ დროებას ამშვენებს
ხშირათ შენი ფელეტონი;
პოლიტიკურ საქმეშიდაც
მე კი მომწონს შენი ტონი;—
ზდანოვიჩის სიყვარულში
რომ არა გაქვს კიდე—ფონი,
ამისათვის ნიკოლაძე
აღარ არის მოსაწონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონ ბაქრაძეს.

კირილეს მსგავსათ შეგფერის
შენ წმიდა მოწამეობა,
ჭიქასებრ შეუხებელი
წმიდაა შენი ზნეობა;—
ცოტას ის გიშლის, მცნებათ გწამს
ავტორიტეტის „მე"-ობა,
თვითარსებობით იღვწოდე,
გაკლია ვითომ მხნეობა?

ბიათურის საბჭოს უფროს მოხელეებს.

ყველა თქვენგანი მას ცდილობს,
პარტიაში ჩაეწეროს,
სოციალდემოკრატობით
წვრილ ფეხობას მიაფეროს,
საზოგადო მოღვაწობა
ვითომ მართლა შეიფეროს;—
მისი ოჯახი დაიქცა
ვინც თქვენ „რწმენა" დაგიჯეროს

ნიკო თავდგირიძეს.

რა გამოგიდნა, ძმობილო,
ასე თავ-განწირვისაგან,
ვერ გხედავ მხარ დამშვებულს
მეგობრებ-მოძმებისაგან!
კიდეც ამით ხარ ძლეული
ბნელში გახვეულ მტრისაგან.—
„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგან";

ნიკო ნიკოლაძეს.

სისწორისთვის თუ არ ვარგა
მარტო მარცხნით გადაწევა,
ჭკუიან კაცს არ შეფერის
არც მარჯვნისკენ თლათ წაქცევა.

იოანა მეუნარგიას„.

აღარც მარჯვენა, აღარც მარცხენა,
აღარც ცენტრი, არც უკიდურესი;
როგორც ილიას ვეღარ აღვადგენთ
აღარც კაცი გყავს შენს უარესი.

ანდრია ერისთავს.

გაზეთის ფურცლებს ეზრახვის,
ცნობა მოგვცეს უტყუარი,
მაგრამ გვიკვირს, იმ ცნობაზე
რომ არ გითქვამს „ცივი ვარი".

ქუთაისის მოცლილ ქმაწვილებს.

ყმაწვილებო! გამოფხიზლდით,
თავი თქვენი შეიბრალეთ,
„ლაღიძის წინ" მთელ დღე დგომით
ვერ ამჩნევთ, რომ დაიღალეთ?

ბრიგოლ როგავაძეს,

შენ უნდა დაიტრაბახო
მტკიცე მამულის შვილობა,
მოდაში შამოიტანე
ქართულის ცოდნის ცილობა,
მაღალ სფერაში შეგნიშნეს
არისტოკრატთა ზრდილობა;
თუ კაცი თითონ ივარგებს,
რათ უნდა გვარაშვილობა?

ქუთაისის გუბ. სამღვდელოებას.

ავტოკეფალს კი მიიღებთ,
თუ იქნებით ცოტა მარჯვეთ,
არ მოეშვათ, გადიეინეთ,
დრო იხელეთ, მოიმარჯვეთ!...

ხოხობი.

(შემდეგი იქნება).

შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესი? *)

(რეფერატი უფლებათა კანდიდატის ბარონ მ. ნიკოლაისა).

(თარგმანი რუსულიდან).

დასკვნები.

უმრავლესობის იმ პირთა, რომლებიც უარყოფენ იესო ქრისტეს ღვთაებრიობას, ეგრეთვე მათაც, რომელნიც სცნობენ მას, აკლიათ თანდათანობა. ერთნიც და მეორენიც არ აქცევენ ყურადღებას შედეგებს, რომლებიც აუცილებლად გამომდინარეობენ მათგან დაპერილი მდგომარეობიდან. ბევრნი ალბათ დამოუკიდებლად არ დაკვირვებიან ამ შედეგებს და გაუკვირდებათ კიდეც, როცა დაინახვენ, რას ავალებს მათ ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ამ საკითხისა. ზოგიერთებს ებინიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის მიყოლისა ბოლომდე და შეგნებულად, თუ შეუგნებლად, სირაქლემასავით მალვენ თავს, რომ არ დაინახონ ის, რაც მათ არ ესიამოვნებათ. უფრო უკეთესი და პატიოსნური არ იქნება, რომ დავხედოთ ჩვენი ნათქვამის შედეგებს და ანგარიში გავუწიოთ მათ? თუ შედეგი შეუძლებელი იქნება, მაშინ ეს გვიჩვენებს ჩვენი ანგარიშების ცთომილებას.

წარმოვიდგინოთ პირველად ყოვლისა, რომ რომელიმე ახალი აქამდე უცნობი საბუთებით დამტკიცდება უცილობელათ, რომ ქრისტე იყო არა განხორციელება ღვთაებისა, არამედ ისეთივე მომაკვდავი კაცი, როგორც ჩვენ.

ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად უნდა ვსცნათ:

1) რომ მთელი საქრისტიანო 18 საუკუნის განმავლობაში აღმერთებდა და ეხლაც აღმერთებს მკვდარ ებრაელს. ამ შემთხვევაში ქრისტიანობა ყოფილა მსოფლიო ისტორიაში უსაშინელესი სიცრუე, რომ მეტი არა ვთქვათ. როგორ შეიძლება, რომ ასეთს საბედისწერო ცთომილებას შეურიგდნენ მილიონობით ნიჭიერი განათლებული კაცები? როგორ გასძლო ამ სიცრუემ?

2) სახე ქრისტესი, ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება ჩვენ ისეთი ერთი მეორის მომსპობ წინააღმდეგობით სავსედ, რომ ჩვენ სრულიად ვიკარგებით მათში. რაც უფრო მეტად ვეცნობით ჩვენ ქრისტეს პიროვნებას, მით უფრო შეუძლებელი და გაუგებარი ხდება იგი ჩვენთვის.

3) მაშინ აუცილებლად უნდა უარვყოთ მთელი სახარება (ახალი აღთქმა). რატომ? განა არ შეიძლება იქიდან გამოვრიცხოთ ყოველივე ის, რაც გვიჩვენებს ქრისტეს ღვთაებას და დავტოვოთ დანარჩენი—სამოძღვრო, სანუგეშო, დარიგებითი?.... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოგვიხდება გამორიცხვა მოციქულთა საქმის წიგნისა, რადგანაც მასში ყოველ ნაბიჯზე ლაპარაკია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე. მოგვიხდებოდა მოციქულთა ეპისტოლეების გამორიცხვაც, რადგანაც მათში ყველგან ლაპარაკია ქრისტეზე, როგორც ღმერთზე, უფალზე და მკვდრეთით აღდგომილ გამომხსნელზე. ცხადად სჩანს, რომ ოთხივე სახარებაც უნდა გამოვრიცხოთ, რადგანაც, თუ ერთხელ დადგენილია, რომ ქრისტე შეგნებულად თუ შეუგნებლად სიცრუეს ამბობდა და თავი განხორციელებულ ღმერთად მოჰქონდა, ჩვენ აღარ შეგვიძლიან ვენდოთ მის სხვა სიტყვებსაც და ჩვენ ზნეობრივად ვალდებულნი ვართ უარვყოთ მთელი სახარება, როგორც მავნებელი წიგნი, რომელსაც ხალხი განსაცდელში შეჰყავს.

4) ჩვენი საკუთარი სულიერი მდგომარეობა ამ შემთხვევაში უნუგეშო და გაჭირვებულია. ვგრძნობთ ჩვენში ცოდვებს, რომლების ხან და ხან დავიწყებაც კი შეგვიძლიან, მაგრამ დაფარვა კი არა; გვაქვს ვნებები, რომლებიც ჩვენ გვიმონებენ; ჩვენ შევიდგინეთ ჩვენთვის ზნეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრება არ შეგვიძლიან და თვითონ სულიერად გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფთა, არ შეგვიძლიან სხვების შველა სულიერ გაჭირვებაში; მომავალი ჩვენთვის უცნობია.

5) როგორ ავხსნათ საკეთილო გავლენა ქრისტიანობისა კერძო პირებზე და მთელ ერებზე? როგორ შეეძლო მატყუარა, ან თვითონ მოტყუებულ ებრაელს სამი წლის მქადაგებლობის შემდეგ, რომელიც სრული მარცხით გათავდა, მიეყვანეთ საქვეყნო საკეთილო შედეგამდე? იქ სადაც მის სახარებას გულით ღებულობდნენ, ამაყები მდაბლებად ხდებოდნენ, მემრუშეები უმანკოებად და მანკიერები მეორედ იშვებოდნენ ხოლმე, რადაც ახალი სულიერი ძალით. შეიძლება განა, რომ სიცრუემ გააკეთილოს და გააბედნიეროს კაცი? მაშინ ჭეშმარიტება როგორღა იმოქმედებს იმაზე? შეეძლო განა სიკეთის მდინარეს, რომელიც სახარებათ მოევლინა მთელ ქვეყანას გამოდენილიყო სიცრუის წყაროდან?

6) პირადი გამოცდილება ყველა ერის და დროის ნათელ პირთა, რომელთაც ირწმუნეს ქრისტე, რჩება ჩვენთვის გამოუცნობელ გამოცანად. როგორ შეეძლოთ, ერწმუნათ ქრისტე მეცნიერების და აზრის მნათობებს—ნიუტონს, პასკალს, პასტერს, ლორდ კელვინს, პიროგოვს, დოსტოევსკის, ვლ. სოლოვიოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვათა? მაშ ისინი შემცდარან. სცდებოდნენ მაშ ყველა მისიონერები, რომლებიც მთელი წლობით თავ გამოდებით შრომობდნენ წარმართთა შორის და ხშირად სიცოცხლესაც სწირავდნენ ხოლმე ჯვარცმულ და მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვრის ქადაქებას, სცდებოდნენ ყველა ქრისტიანი მოწამეები. სცდება ჩვენ დროში მსოფლიო საქრისტიანო კაკშირი სტუდენტებისა (რომელიც აერთებს 135000 სტუდენტს და პროფესორს 44 ქვეყანაში), რომლის ქვაკუთხედიც არის რწმენა ქრისტეს ღვთაებისა. სცდებიან ალბათ ჩვენთვის მახლობელი პირებიც, რომელთაც ჩვენ მაღალ პატივს ვსცემთ მათ პირად თვისებათა და მათ ცხოველ, წრფელ სარწმუნოებისა და ქრისტიანულ ცხოვრების გამო. როგორ შეუძლიანთ მათ სთქვენ, რომ პირადმა ცხოველმა ქრისტეს რწმენამ მისცა აზრი, შინაარსიც და მიმართულებაც მათ ცხოვრებას? მოვიყვან აქ ს—პეტერბურგის ნაფიც ვექილად ნამყოფის გლადკოვის მოწმობას, რომელიც მან დასწერა მის მიერ გამოცემულ სახარების განმარტების წინასიტყვაობაში:

„წარსული საუკუნის მესამოცე წლებში“,—სწერს ის,—„მე გატაცებული ვიყავი მაშინ სწავლულ ხალხში გავრცელებულ ულვთოობით“ და რაოდენიმე წელიწადი ათეისტად ვიცხოვრე. სარწმუნოების დაკარგვის შემდეგ მე მაინც ვგრძნობდი, რომ გონიერი ცხოვრების სისრულისთვის მე რაღაცა მაკლდა, რომ დაკარგული სარწმუნოების ადგილას დარჩა რაღაც სიცალიერე, რომ მატერიალური მოძღვრება მე არ მაკმაყოფილებდა, არ მაძლევდა აზრიან შეგნებას ჩემი თავისას და ჩემ გარშემო მყოფი ქვეყნისას. აი ამ სიცარიელემ, ამ ცხოვრების უაზრობამ და უმიზნობამ ჩამაგონა მე და მაიძულა სახარების გაცნობა საფუძლიანად. აღწერს რა იმას, რომ სახარების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ ის დარწმუნდა მის სინამდვილეში, ავტორი განაგრძობს: „აქ გათავდა გზა გამოძიებისა და მე შევუდექი დიდი ხნის დაკარგულ სარწმუნოების გზას. მე მივედი წყნარ კიდესთან, რომელსაც მოგლეჯილი ვიყავი ათეიზმის ტალღით; მე შევიგენე ცხოვრების აზრი; მე ვპოვე გაღებული ის კარი, რომელსაც ტყუილად ვრეკდი; მე გავიგე უღრმესი აზრი სიტყვებისა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი.... და ჰპოოთ განსვენება სულთა თქვენთა“ მე მოვედი ქრისტესთან და ვპოვე პასუხი ყველა საკითხებზე, რომლებიც მე მაწუხებდნენ, ვპოკე სულიერი განსვენებაც“.

მაშ ესეც ცდებოდა!

აქამდინ ჩვენ განვიხილეთ ის შედეგები, რომლებიც აუცილებლად გამოდიან იმ შეხედულობიდან, რომ ქრისტე მხოლოდ კაცია. შეეჭერდეთ ეხლა ზოგიერთა სხვა თვისების დასკვნებზე. ვთქვათ, რომ ჩვენ ამა თუ იმ გზით დავრწმუნდით, რომ ქრისტე ნამდვილად იყო ის, რათაც მას თავი მოჰქონდა,—არა მხოლოდ უბრალო მომაკვდავი კაცი, როგორც ჩვენ, არამედ განხორციელება ღვთისა, „მხოლოდ შობილი ძე ღვთისა“, მაცხოვარი სოფლისა; რა გამოდის ამ გვარი დებულებიდან.

შევეკადნეთ, პირველად ყოვლისა, დავიგიწყოთ ყოველივე, რაც კი როდისმე წაგვიკითხია ან გაგვიგონია ქრისტეზე, და შევიდეთ იმ კაცის მდგომარეობაში, რომელსაც პირველად ეყურება სახარება. ჩვენ ბავშობიდან ისე შევეთვისეთ მას, რომ თითქოს დაეყრუვდით მის სწორე დასაფასებლად.

მოვისმენთ თუ არა სახარების თხრობას: „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისი, არა წარწყმედეს არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“(იონე 3,16)... ამბავს შესახებ იმისა, როგორ სცხოვრებდა, ასწავლიდა, ივნო და მოკვდა ჩვენთვის და აღსდგა მკვდრეთით ქრისტე, შესახებ ამისა, რომ ის არა თუ მხოლოდ „ოდესმე სცხოვრებდა“, არამედ ეხლაც ცხოველ არს და გვიწოდს ჩვენ თავისკენ,—ჩვენ გულის სიღრმემდე შეეიძვრით ამ გვარი მსხვერპლით და ამ გვარი სიყვარულით.

ჩვენ ვგრძნობთ მოვალეობას და მხურვალე სურვილს გავიგოთ ყოველივე ის, რის გაგებაც შეიძლება ქრისტეს შესახებ, მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცნობას; რაც შეიძლება ღრმად და დიდი მუყაითობით შევუდგებით იმ წიგნის შესწავლას, რომელიც ჩვენ ამაზე მოგვითხრობს.

ჩვენ შევიგნებთ, რომ მოხდა საქვეყნო საქმე მიუწვომელი სიდიადისა, რომლის შედეგებიც განუზომელად დიდნი უნდა იყვნენ, რომ ამგვარი მსხვერპლი ტყუილად არ ჩაივლიდა, რომ თვითეული კაცისთვის გახსნილია ახალი შესაძლებლობა შერიგებისა, განწმედისა და წმიდა, უმანკო, სასარგებლო ცხოვრებისა ქვეყანაზე ღმერთთან ერთობით; რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა უნდა იყვეს მაღალი, საკვირველი და ნათელი, არა მსგავსი იმ, მხოლოდ სახელით, მცირე ქრისტიანობისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ გარშემო.

ჩვენ გავიმსჭვალებით იმ აზრით, რომ მხოლოდ გარეგანი ცნობა ქრისტესი, მხოლოდ გარგნული აღსრულება სარწმუნოების თუნდ ყველა წესებისა და ჩვეულებათა, მხოლოდ გონებითი შეგნება საღვთო წერილისა და ცხონების გზისა ვერ დაამაყოფილებენ ვერც იმას და ვერც ჩვენ. მისი მსხვერპლი ისე დიდია, რომ უთუოდ გვადებს რამე ვალდებულებას.

ჩვენ შევიგნებთ, რომ ის უნდა გახდეს ჩვენი პირადი კორონმდებელი და უფალი, რომ ყოველი ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან, ხალხთან, თავისთავთან და ცოდვასთან უნდა განისაზღვრებოდეს ქრისტეს ნებით.

სწორეთ ამ მუხლში აკლიათ ბევრ მორწმუნეებს თანდათანობა.

ჩვენ ვიგრძნობთ მხურვალე ლტოლვილებს ამ სიყვარულზე სიყვარულითვე პასუხის მიცემას და მტკიცედ ჭ შეუერყეველად შეეწირავით ჩვენ უკეთეს ძალებს და ნიჭს მის მსახურებასს და ქვეყანაზე მისი სასუფევლის დამყარებას.

ბოლოს, ჩვენ ცხადათ შევიგნებთ, რომ რაც უნდა მცირენი იყვნენ ჩვენი ცნობები ქრისტეზე, ამ საკითხში ჩვენ არ შეგვიძლიან რეყვა და საჭიროა ყველასთან ახლოლად და მთელი გულით დავდგეთ ქრისტეს მხარეზე, ან შეგნებულად და გადწყვეტით დავდგეთ მის წინააღმდეგ.

ნაცარყანელი.

[დასასრული).

რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ? *)

დამწვდეული წმ. ელენეს კუნძულზე, **ნაპოლეონ I ბონაპარტე** (1768—1821) ძალიან ხშირად კითხულობდა ბიბლიას. კრაფი **დე-ლასკაზასი** თავის მემუარებში ნაბოლეონის შესახებ შემდეგ ფაქტს გადმოგვცემს: „ამბერტრომ,—სწერს კრაფი,—დასრულდა თვისი სუბარი მით, რომ თხოვა ჩემ შვილს ასალი ადამქა მოეტანა და წაეკითხა იქიდგან მთიდან ქადაგება თავიდან ბოლომდე. ამ ქადაგების ზნეობის სიწმიდემ, სიმდიდემ და შეენიერებამ დიდად განუკვირა იგი და ჩვენც ეგვლანი ამასვე გვრძნობდით“.

ამ სიმხედრო კეთილმამ, რომელსაც ვერაფერ დასწავლის პიეტისტობას ან მოთნეობას, ერთხელ შემდეგი დიდი აზრი წარმოსთქვა სიდმრთო წერილის შესახებ: „სახარებას რადაც სიდუმდო ძალა აქვს, რადაც საკვირველი დონე, სიმხურვალე, რომელიც გონებაზე მოქმედებს და გულს ხიბლავს. რადა მსჯელობენ სახარების შესახებ, რწმუნდებიან რომ ზეცის შესახებ არსებობენ. სახარება წიგნი კი არაა, იგი კაცის არსებაა, მოქმედება, ძალა, რომელიც ეგვლდფერს ძალვენ, რაც კი წინააღდეგება მის გავრცელებას. როდა ეს წიგნი მაგიდაზე მიძევს, წიგნი უადრესი (ამ სიტყვების ღრმა ამბერტრონი პიტეიზტეეთი ეეენ ბიბლიას) არ ვიდდები მისი კითხვით და ეოველთვის ერთნაირი ეპაეოვალებით ვკითხულობ. ქრისტე არ იტყვება, არ ეოფენს თავის ეგეგმის ადირეულებს, უჩვეულებრივესი მისი სიტყვაც ეტარებს სიმარტივისა და სიდრმის ბეჭედს. ეს სიმარტივე და სიდრმე ხიბლავს, როგორც უმეცარს, ისე ბრძენსაც, რა წამს მიეკცევან მას ეურადღებით.

არსად მოიპოვება ისეთი შეენიერი აზრები, ისეთი შეენიერი ზნეობითი წესები, რომლებიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კრებული ზეცის მხედრობისა, უკუ'ბდებენ ყველა თავდასხმას და ისეთს გრძნობას გვიდვიძებენ, როგორსაც კანიდა, რაც ითვალიერებ უსაზღვრო ვარსკვლავებით მოჭედილ მოელვარე ცას შვენიერ ღამეში.

ჩვენს გონებას ხიბლავს ამ წიგნის კითხვა და ამეფებს; სული კი ამ წიგნით ყოველ ცოდიისაგან დაცულია.

ჩვენი სულიერ მეუფეს ჩვენდამი სიყვარულის კაცი მოგვგზავნა თავისი სახარება. იგი მეუფე ჩვენი სულისა, ჩვენი შეგობარია, ჩვენი მამა და ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი. დედა უფრო მეტს არ ზრუნავს თავის ძუძუმწოვარა ბავშვზე, რამდენსაც ზრუნავს ჩვენთვის ჩვენი მეუფე. სული მოხიბლულ სახარების შვენიერებით არ ეკუთვნის უკვე 'თავის თავს. ღმერთი იბეჭრობს მას მაშინვე. ღმერთი მართავს ყველა მის კანზრახვას და ნიჭს, რომელიც ღმერთს ეკუთვნიან უკვე.

რა დამტკიცებაა ქრისტეს ღვთაებისა?

თავის უსაზღვრო სიბეჯითი **ის** მხოლოდ ერთ მიზანს ამიდევს—ადამიანების ზნეობრივ განკეთილშობილებას, სინდისის სიფაქიზეს, სულის სიწმიდეს, კეშარს ყველა იმისთანა, რაც ჭეშმარიტია" [1]).

შესანიშნავი ნემეცი სწავლული და სახელმწიფო ადამიანი **ვილგელმ გუმბოლდტი** (1767—1835) მადლ ეუნებდა ბიბლიას, „რიგა ბიბლია,—სწერს იგი,—როგორც ჩვენში (გულისხმობს **ნემეცებს**), ერთთა ერთი წიგნია სახლისათვის, უკანასკნელს აქვს მასში მთელი კრებული ადამიანის სულის ნაწარმოებისა: ისტორია, ეპოეზია და ფილოსოფია, და ეს ყველაფერი იმ კვრად, რომ ძალიან თუ შეიძლება ხალხს ქონდეს ისეთი მდგომარეობა გონებისა და გრძნობისა, რომელმაც ვერ ეპოვოს ბიბლიაში თავისი შესაფერი კეთილსახი. მხოლოდ მცირედნანა მასში იმდენად გაუკეთარი, რომ ვერ ჭვდება უბრალო ჭკუა. ცოდნით მდიდარი კაცი მხოლოდ უფრო დრმად კანიდა მას, მაგრამ არავინ მორდება უკმაყოფილოდ.

მეორე ადგილას გუმბოლდტი ამბობს: „ბიბლიის კითხვა დაუშრობელი და ფრიად სიამოვნო წყაროა ნუკეშისცემისა. სხვა არაფერი ვიცი ისეთი, რომელის შედარება მასთან შეიძლებოდეს. ბიბლიის ნუკეშის ცემა თუმცა სხვა და სხვა სახით, მაგრამ ერთნაირის უნებებით, ადამიანარებს როგორც ძველ, ისე ახალ ადამენში. კანგება ფიფიოსა მოყვარი ადაკა ორივ ადამენში და აქედგან წარმოსდგება მორწმუნე მოაზრისთვის ღრმა შინაური ადამიანური რწმენა, რომ ცხოვრების უკუღმართობაც, რომელისგან ადამიანები ტანჯვასაც კანიცდიან, ფრიად ბრძენურად ბოდიდება და ფრიად სასარგებლო ხელა მთელისათვის და ამის გამო თვით ტანჯულთათვისაც.

იოანე ადამსი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი (1735—1826 წ.) ღრმად ხატავს სცენა ბიბლიას და ხშირად კითხულობდა მას. 1811 წელს იგი სწერს თავის შვილს: „მრავალი წელიწადია რაც ჩვეულებად გადვიხადე ეთვალ წლობით ერთ გზის წაკითხვა ბიბლიისა. ეთვალ დიდას დროინდგან ადგომისთანავე ჩვეულებად მაქვს კაკვიკითხო 4—5 თავი. ეს მრომეგან დაახლოებით ერთ საათს, და ვფიქრობ, რომ ასე დაწეებს დღისა ფრიად მიზან შეწეობილი საშუალებაა".

გაკმოგვცეს, რომ ერთმა ინდოეთის მოსავრმა ინახულა ინგლისი და მოაღურვა შეეტეო მიზეზი ამ მძლავრ ხახელმწიფოს დიდებისა, "და მას დეკოლონიზმა ვიქტორიამ არ აჩვენა არც თვისი დიდებული ფალატი, არც სალარო, არც მამაცი მხედრობა, არც, ბოდოს, თავის მდიდარი ზღვნის ნავთსაგზურები, არამედ მისეს მას ბიბლია და უთხრა: „სიტეკვა ღვთისა არის დიდება ინგლისისა".

„ბიბლია უკეთესია ყველა წიგნზე და მსურს ყველას ხელში ეჭიროს იგი", სოქვა ამერიკის შეერთებულ შტატების ეთოფიმა პრეზიდენტმა **ტეილორმა** (1784—1850 წ.) „ბიბლია ეუფლებელია ჩვენი სახელმწიფოთ დაწესებულებათა უზრუნველ საყოფელად, თავისუფალი მარავა შეუძლებელია უსარწმუნოებად და უზნეობად: უბიბლოდ კი არ არსებობს სარწმუნოება (ჭეშმარიტი, რასაკვირველია), უსარწმუნოებად კი ზნეობა. ბიბლია უნდა მეცეს ხელში განსაკუთრებით ახალგაზრდებს. იგი ეკეთესი სასეფოდ წიგნია ქვეყანაზე. ის, რაც მისწავლია ასეგზობაში ბევრად უკეთ მახსოვს, ვიდრე ის, რასაც ეხლა ვკითხულობ. მე მსურს, რომ ყველა

[1]) Ф. Шаффъ Іисусъ Христосъ=чудо истиріи, стр. 185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა ამ წმიდა წიგნის გაგლენის ქვეშ ამოეფფიდნენ“.

უფასნიშნავენი წასული სა-ეკლესიის სახელმწიფო მოღვაწე და მადალი მტკიცებული ქრისტიანობის ზნეობრივი იდეალის **ვილიამ გლადსტონი** (1803—1898 წ.) საეკლესიადან-საეკლესიამდე ალტარებით ეოაყვანებოდა ბიბლიას. მისგან ხალხისთვის დაწერილ ბიბლიის ახსნის შესავალში ამ დიად წიგნის დირსებაზე იგი შემდეგს ამბობს: „ვის არ აუსრულა ან არ აუსრულებს სათხოვარს ან გამოულეველი სულჯე კრიტიკულ მდგომარეობაში, უბედურებაში და ცხოვრების ცხოვრების დახლართულ მდგომარეობაში? რომელი წიგნია, რომელი მდგომარეობა ცხოვრებაში არ მადლდება ყოველ დღე და ყოველ ჟამს ბიბლიის სიტყვებით, რომელებიც, მიუხედავად ხშირი განმეორებისა, არ კარგავენ თავის ძალას და დღესაც აქვთ ისეთი სიხორცე სიერმისა და უკვდავებისა, როგორიც ამ დროს, როცა წინაპირველად წაკრეთიქენენ! როცა სადმრთა წერილის გამოკვლევა განმარტებით გაუსნნა მოელ თავის ბულს ბიბლიის სიტყვებს, ეს სიტყვები დაუოდდოვებენ მას შრომას. განმარტებულ ოთ ხმა მეუდრო დამეს, თუ ავადმოფობის სარეცელზედ, თუ საკვადილის მოახდობების ჟამს, ყველგან ბიბლია გამოკვიჩდება შემწედ, იგი ფრიოს ასსმის თავის სიტყვებს დასაგეფოდებლად ეოველი საჭიროებისა, კურნავს, ამხუბქებს, ანუგეშებს, ამაგრებს, და ამხნევებს“.

ამერიკელი ალექსანდრე I კურთხეული (1777—1825 წ.), როგორც მაწმიბენ მასთან დაახლოებული ბერები, მოწიწებით აქცეოდა ბიბლიას. მისი კეთილი ბებერი მან თოოთ განიცადა თავის თავზე და 1812 წლიდგან დაწეებული განუწყვეტლივ ეოველ დღე, დილა-საღამოს კითხულობდა ამ „საღმრთო წიგნს, წიგნთა წიგნს“. მოსკოვის ომბრაბამ 1813 წელს ღრმად შეაძრწუნა ამ ბერატორი ალექსანდრე; არაფერი არ ანუგეშებდა და ეუნუბოდა თავის ემოწყალობის ამბავსაც თავ. ნ. გოდიტინს, რომ ეერაფერმა ვერ გაუფანტა მას შავი ფიქრები. გოდიტინი მსუბუქი და ბრწყინვალე კრძის კატთაკანი ამას წინად დაკინდა და იწყო ბიბლიის კითხვა ჭეშმარიტების გზაზედ დამდგარ ალმაინისებური სიმხნით. მოშიშებით მისთვაზა მან ალექსანდრეს ამოედო ნუგეში ამავე წეაროსგან. მეფემ არაფერი უპასუხა, მაგრამ მტირე ხნის შეადეგ მიგიდა დედოფალთან და სათხოვა ბიბლია. დედოფალი ძალიერ გაკვეირა ამ მოულოდნელმა თხოვნამ და მისცა მას თავის საკუთარი ბიბლია. ალექსანდრეს ბიბლია აქამდე არც კი წაეკითხა. იგი წაეიდა მარტოდ და იწყო კითხვა ბიბლიისა. მან ეგრძნო ო

მისთვის ახალ ტენებების სფერაში. ასზს უსვამდა ეველა ამ ადგილს, რომელიც მის საკუთარ მდგომარეობას უდგებოდა და როგა სელმეორედ გადაეითხვდა ამ გვარ ადგილებს, ისე გეონა, რადაც მეგობრული ხმა ამხნევებდა და უფუნტავდა ტოოებელ. „მოსკოვის ტეტხლმა გამბრწყინა სულიო,—ეუბნებოდა შემდეგში ალექსანდრე ბრუნვედ ეპისკოპოზს ედერტს, — დ გული ამაოსა სარწმუნოების სიმსაარულით, მაშინ ვიცანი ღმერთი“. მეზობარე და გულწრფელი სარწმუნოებით გაამსჭვალა ამბერატორის გული. [10]) „მე ეზოქაედი ბიბლიას, — ამ ბობდა ამერატორი, — რადგანაც ვხედავდი, რომ მისი სიტყვები მიგლინებდა მანამდე გამოუცდელ მშვიდობას და მიგმეოფილდა სულის ეეურვალს. ღეთის მადლით გულისხმაეოოდი, რასაც წაეიკითხავდი; ამ შინაგანმა დარგებამ და გაბრწყინებამ მომცა ეველა სულიერი სიკეთე, შეძენილი სიღმრთო სიტყვის კითხვის დრას“. [11]) განსაკუთრებით ეველაზა ხელმწიფეს ახალი ადოქმის კითხვა და მოგზაურობის დრას ხშირად ხელიდგან არ უშვებდა სახარებას. „ალტაკებელი ვარ ამ წიგნია“, ეთხრა ერთხელ ალექსანდრეს სახარების შესახებ თავის მეგობარს თავ. ს. ნ. გოდიტინს, ამბოკალიესი ასე მოსწონდა ამერატორს რომ, როგოეც თეით ამბობს, ვერ ძალებდა მისი კითხვაი.[12])

ონ. მწერი.

შემდეგი იქნება

---

[10]) Импер. Александръ I. Его жизнь и царствованіе. Н. К. Шильдера.

[11]) Тамъ же т. IV. стр 138.

[12]) см. записки Ю. Н. Бартенева въ «руск архивѣ» 1886, г. май

გამოვუარე*).

გამოვუარე სოფლის მოხელეებს,
დრამასართმევდა საწყალ გლეხებსა,
მშიერ მწყურვალსა, შიშველ ტიტველსა,
ათასგვარ ხარკით გაბეგრულებსა.
აქ მღვდლებს ჩათვლიან დამნაშავეთა,
ვინც რომ საქმეს არ ჩაკვირებია,
ვისი ბრალია ყოველი კაკი,
გლეხებს ზურგზე რომ აკიდებია!?
ხაზინიდან თუ იღებს ჯამაგირს
ყოველ ნაბიჯის მოხელეები,
ვითომ რა უჭირს იმავე წესით
ჯამაგირებს რომ იღებდეს მღვდლები?
გამოვუარე ვაჭარ-ნოქრებსა,
პროლეტარების „დიდ მეგობრებსა“,
შექნეს განგაში მორთეს გაფიცვა,
რა ჰქნან! დიდი აქვსთ „ხალხის გულის წვა“.
გამართეს ბრძოლა გასაკვირვები,
მით გაიდიდეს ჯამაგირები.—
დღეს პროლეტარის დიდი გმირები
ხვალ გახდებიან ხაზეინები...
გამოვუარე თვითონ ვაჭრებსა,
და გადავხედე იმათ დავთრებსა:—
ერთი ათათ, რომ მისცეს ნოქრებსა,
ზედ დააწერეს ასად ფართლებსა.
ამით მოიგეს ბლომათ ვაჭრებმა
და თავგასულმა მათმა ნოქრებმა,
რაც რომ ფაბრიკის მუშებს ჩამორჩათ,
აქ დაუარეს თავი ლაჩრებმა.
გაფიცვას დიდი მნიშვნელობა აქვს,
მაგრამ ის უნდა თავის ადგილზე,
და ვინც ზედ მეტათ დაიწყებს ჯაგლაგს,
მას ხელი უნდა სტაცო აღვირზე......
გამოვუარე სოფლის მუშებსა,
შევხედე იმათ სულქმა-უშებსა,
დღე და ღამ მიწას ჩასჩერებიან,
ტანჯულთ სიცოცხლე გასჭირვებია.
რაც რომ ვაფიცვით სხვებმა მოიგეს
სოფლელთ დაატყდათ ერთი-ათადა,
მდიდრებს მოუხდათ ბრძოლა, განგაში,
ღარიბი მაინც დარჩა საწყლადა.
მიწა არა აქვთ, საზრდო არა აქვთ,
მაინც ქვეყნისა მარჩენელია,
ერთს წელს, რომ მიწა არ იმუშაონ
ვაი ქვეყნისა ცოდვა-ბრალია!..
დღეს, რომ თვით მუშა შიმშილს განიცდის,
მუქთახორები ოხრათ ძღებიან,
რამდენი ღიპებ ჩამოშვებული
მაშინ საფლავში ჩაგორდებიან?..
გამოვუარე ხალხის „ერთგულებს“,
პრაპაგანდობდენ, აფრქვევდენ ცეცხლსა,
გაყვლეფილს ყვლეფდენ, მშიერ მწყურ-
ვალსა
ართმევდენ ნასესხ ოქროს და ვერცხლსა.
ეუბნებოდენ: მარტო ჩვენა ვართ
თქვენი ერთგული და პარტიაო,
ხვალვე გადმოგცემთ რაც მიწებია
და ან მდიდრებს რაც აბადიაო!..
ვინც რომ შიმშილით იწელებოდა,
ასე ფლიდობით გაიძღეს კუჭი,
მათის წყალობით ნამდვილ მოღვაწის
თავდადება ზოგს ჰგონია ფუჭი.
აი, შეხედეთ ქვეყნის ერთგულებს,
საქვეყნო ღვაწლი რა რიგ დიდი აქვთ!?
კუჭი გაიძღეს, ჯიბე გაიმსეს
ხალხი?!—ფეხებზეც არა ჰკიდიათ...

რ. საჯავახოელი.

---

*) „გამოვუარე“-ს მღერიან ქვემო იმერეთში ყანის სიმღერაში და ბევრ საოხუნჯო სიტყვებს ხმარობენ შიგ. რ. ს.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ქუთაისში 6 იანვრიდან 1910 წ. გამოვა

იუმორისტული ალმანახი

„ჭინკა“

მიიღება საოხუნჯო წერილები და ლექსები შემდეგი ადრესით: Кутаисъ, типографія „братства“—Алманахи.

ДВАДЦАТЬ ДЕВЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1910 ГОДЪ

„РЕБУСЪ“

● СТАРѢЙШІЙ ВЪ РОССІИ ●

ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЙ

ЖУРНАЛЪ

по вопросамъ спиритуализма, психизма, медіумизма и мистики.

Обзоръ и изслѣдованіе малоизвѣстныхъ теорій и фактовъ: **телепатіи, ясновидѣнія, передачи мыслей, раздвоенія личности, одержанія сомнамбулизма, животнаго магнетизма, медіумизма, гипнотизма, явленій спиритуализма и другихъ оккультныхъ явленій и фактовъ.**

Спорные вопросы науки и жизни.

Выходитъ НЕ МЕНѢЕ 2-ХЪ РАЗЪ въ мѣсяцъ выпусками отъ одного до трехъ печатныхъ листовъ. Статьи по мѣрѣ надобности сопровождаются пояснительными чертежами, рисунками и портретами.

ПОМѢЩАЮТСЯ ОТЗЫВЫ о новыхъ и старыхъ книгахъ: СОВѢТЫ, РАЗЪЯСНЕНІЯ И ОТВѢТЫ РЕДАКЦІИ на запросы и письма подписчиковъ. ВЪ ЛИТЕРАТУРНОМЪ отдѣлѣ будутъ помѣщаться повѣсти, разсказы, романы, стихотворенія и новеллы, соотвѣтствующіе направленію журнала.

За прошлые года въ журналѣ, въ числѣ прочихъ статей, были напечатаны: проф. Ф. МАЙЕРСА.—„О послѣмертномъ существованіи“ и „Прижизненные призраки“; проф. . БУТЛЕРОВА.—„Статьи по медіумизму“; А. АКСАКОВА.—„Анимизмъ и спиритизмъ“; проф. Н. ВАГНЕРА.—„Фотографія невидимой руки“; А. ДАССЬЕ.—„Позитивизмъ въ области спиритуализма“; проф. Ш. РИШЕ—„Слѣдуетъ ли изучать спиритизмъ?“; д-ра Ж. МАКСВЕЛЛЬ.—„Феномены психизма“; д-ра М. ПРИНСА.—„Множественность личности“; проф. Ч. ЛОМБРОЗО—„Непокойные дома“; А. ШОПЕНГАУЭРА.—„О духовидѣніи“; д-ра ДЮ-ПРЕЛЯ.—„Душа, какъ организующее начало“ и „Магія, какъ естествознаніе„; М. САБУРОВОЙ.—„Смерть только метаморфоза“. проф. ШАРКО.—О самнамбулизмѣ и гипнотизмѣ“; д-ра ОХОРОВИЧА.—„Лекціи о животномъ магнетизмѣ“; А. УОЛЛЕСА.—„Духовный дервинизмъ“; проф. В. КРУКСА.—„Объ относительности человѣческихъ знаній“; П. ЧИСТЯКОВА.—„Исторія волшебства и суевѣрій“: „Кантъ, какъ спиритуалистъ“; „Радій и ясновидѣніе“: д-ра ПРИНСА.—„Множественность человѣческой личности“; Ст. МОЗЕСА.—Ученіе духовъ соціальное, религіозное и этическое“; А. БОЛТИНА.—„Догматы Христіанской Церкви съ точки зрѣнія спиритизма“; ГУБАЛКЕ.—„метемпсихозъ (перевоплощеніе]“ и др.; затѣмъ ОТЧЕТЫ РУССКАГО СПИРИТУАЛИСТИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА, ЛОНДОНСКАГО ОБ-ВА ПСИХИЧЕСКИХЪ ИЗСЛѢДОВАНІИ и др.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

въ Россіи на годъ **5** р., на $^1/_2$ года **3** р. **за границу** на годъ **6** р., на $^1/_2$ года **3** р. **50** к.

Отдѣльный номеръ въ продажѣ **25** к. (можно высылать почтовыми марками).

Подписка принимается:

въ Москвѣ: въ редакц. журн. —Арбатъ, д. Толстого, **и во всѣхъ книжныхъ магазинахъ въ россіи.**

3—3

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирищева